



ԵՆՏԻՏՅՈՒՆ

Համալսարանական

ՄԿՈՆՎԵՐՍԻՏԵՏ

ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

Ֆունկցիոնալ լուծված
սեպտա միտոզ:

Ֆունկցիոնալ լուծված
համալսարանական միտոզ

Ֆունկցիոնալ լուծված
միտոզները հանրապետական



რას უნდა ვიცოდეთ ჰემოროიდული რასჯავაღების შესახებ

ბუასილის კვანძები თანდაყოლილია და თითოეული ადამიანის ორგანიზმში არსებობს. სფინქტერის მუსკულატურასთან ერთად, კვანძები ფეკალური მასების და აირების შეკავებას უწყობს ხელს. ანორექტალურ მიდამოში წნევის მომატების ან ძლიერი ჭინთვების შედეგად შესაძლებელია კვანძების გადანაცვლება ქვედა მიმართულებით ლორწოვან გარსთან ერთად, რასაც თან სდევს სისხლმომარაგების დარღვევა, კვანძების შემდგომი გადიდებით და შესაძლო გამოვარდნით.

დაავადების ნიშნები

- ✓ სისხლის არსებობა დეფეკაციის დროს, უნიტაზში, ქალაღზე ან საცვალზე
- ✓ ქავილი, გამონადენი, სისველე
- ✓ უცხო სხეულის შეგრძნება სწორ ნაწლავში
- ✓ ჰემოროიდული კვანძის გამოვარდნა დეფეკაციის პროცესში
- ✓ ტკივილი
- ✓ არასრული დეფეკაციის შეგრძნება

როგორ ვიცხოვროთ ჰემოროიდული რასჯავაღებით

დაავადების გამომწვევი ფაქტორები

- ✓ ინტენსიური ძალისხმევა დეფეკაციისას
- ✓ მუცლის შიდა წნევის მომატება
- ✓ განავლოვანი მასების მკვრივი კონსისტენცია
- ✓ ფალარათი (დიარეა)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გარკვეულ როლი შეიძლება ითამაშოს მემკვიდრეობითი წინასწარ-განწყობის არსებობამ.

როგორ ავიცილოთ ჰემოროიდული ქაასჯარების განვითარება

1. კვება

აუცილებელია უპირატესობა მივანიჭოთ ბოჭკოებით მდიდარ, ბალანსირებულ საკვებს ბალასტური ელემენტებით (ბოსტნეული, ხილი, ბურბუშელა); ასევე აუცილებელი და მნიშვნელოვანია სითხის მიღება საჭირო რაოდენობით (დღეში 2 ლიტრი), რაც ზრდის განავლოვანი მასების მოცულობას და ხელს უწყობს მის რბილ კონსისტენციას, საბოლოოდ კი უზრუნველყოფს წნევის შემცირებას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.

2. სწორი დეფეკაცია

აუცილებელია დეფეკაციის განხორციელება მოთხოვნილების მომენტში და არა მაშინ, როცა თქვენ ამისთვის თავისუფალ დროს გამონახავთ. ნუ დაყოვნდებით დიდი ხნით უნიტაზზე და მოერიდეთ ძლიერ ჭინთვებს. მიუღებელია კითხვა დეფეკაციის დროს. საფალარათო საშუალებები ინვესს მიჩვევას და ზიანს აყენებს ორგანიზმს.

3. დეფეკაციის იდეალური სიხშირე

საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის სანინაალმდეგოდ, დღე-ღამეში ერთჯერადი დეფეკაცია სულაც არ ითვლება იდეალურ ნორმად. ნორმად შესაძლოა მივიჩნიოთ დეფეკაცია, როგორც დღეში სამჯერ, ასევე სამდღეში ერთხელ.

4. ჰიგიენა

მიუღებელია ქალაღდით განმენდის დროს ძალის გამოყენება. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სითხით გაულენთილ ჰიგიენურ საშუალებებს ან/და შხაპის გამოყენებას.

5. სპორტი და მოძრაობა

სპორტი და სუფთა ჰაერზე აქტიური ფიზიკური მოძრაობა ხელს უწყობს ნაწლავების აქტივობის მომატებას და ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კონსერვაციული მკურნალობა

კონსერვატიული მკურნალობა ნაჩვენები და მიზანშეწონილია ჰემოროიდული დაავადების საწყის სტადიაზე.

შესაძლოა მკურნალობის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ✓ მალამოები და სანთლები
- ✓ სიმპტომური, მედიკამენტოზური მკურნალობა
- ✓ „მასკლეროზირებელი„ ინექციები
- ✓ კოაგულაცია ინფრანითელი სხივებით
- ✓ ლიგირება

ჰემოროიდული რადაქციების ქირურგიული მკურნალობა

ოპერაციის აუცილებლობას მოგვიანებით სტადიებზე სიმპტომების პროგრესირება, სისხლდენების არსებობა და წარუმატებელი კონსერვატიული მკურნალობა განსაზღვრავს.

ჰემოროიდული კვანძების მოცილების ოპერაცია

გადიდებული ჰემოროიდული კვანძები იჭრება. ოპერაციის ხანგრძლივობა 30-40 წუთია, შემდგომი 10 დღიანი ჰოსპიტალიზაციით. ხშირ შემთხვევაში პოსტოპერაციული ტკივილის შეგრძნებები 2-3 კვირა გრძელდება და ძირითადად დეფეკაციის მომენტში აღინიშნება. ოპერაციის შედეგი, როგორც წესი, კარგია, თუმცა შეიძლება აღინიშნოს განავლოვანი მასების შეკავების ფუნქციის მოშლა.

ლორწოვანი შრის ცრახსნასლოური რიზიქცია ლორწოს მეოთხით

ახალი და საიმედო ოპერაციული მეთოდია, რომელიც დაავადების გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას უზრუნველყოფს. ლორწოვანი შრის ნაწილის რეზექცია ვენურ ქსელში სისხლის მიდინების შემცირებას და კვანძების ნორმალური ლოკალიზაციის აღდგენას უზრუნველყოფს.



ყველაფერი
წესრიგშია, ვიდრე
შენარჩუნებულია
ანალური არხის
ნორმალური
ანატომიური წყობა.
პრობლემა
ჰემოროიდული
დაავადება ანალური
არხის დამჭერი
აპარატის და სწორი

ნაწლავის დაზიანებით წარმოიშობა.

გასაკერი აპარატის (სტეპლერის)

მეშვეობით

ხორციელდება

ოპერაცია ლონგოს

მეთოდით და სწორი

ნაწლავის

ლორწოვანი გარსის

ცირკულარულ

რეზექციას

გულისხმობს.

ამასთან ერთად



საგულდაგულოდ

ფიქსირდება სწორი ნაწლავის მომჭერის

კუნთოვან-შემაერთებელქსოვილოვანი

აპარატი, რაც ხელს უშლის

ჰემოროიდული კვანძების გამოვარდნას.



ოპერაციის შედეგი
სწრაფი, ეფექტური
და უმტკივნეულო
გამოჯანმრთელებაა,
რომელიც
რეაბილიტაციის
მოკლე პერიოდით და
საუკეთესო
კოსმეტიკური
შედეგებით
ხასიათდება.

თანდათან კოტონის მეთოდით
ყინვალოყინვი, რაშხოვკელი მეთოდის,
ნოტოქოიცი ან სხიანებს ნეროყყო-
ნოქოქოქსოქო ყავშინოქებს, ეს ყყანსხელონი
ყი ვარაშხეყვექო ნოქოს თაშაშოქებ
ვანსკოქოქანი მანქების შოყავებში.

მეთოდის ძირითადი უპირატესობებია:

- ✓ ოპერაციის მიმდინარეობის ხანგრძლივობა 10-15 წუთი
- ✓ შრომისუნარიანობის აღდგენა 3-5 დღეში
- ✓ დაავადების ყველა სიმპტომის ლიკვიდაცია
- ✓ პოსტოპერაციული დისკომფორტისა და ტკივილების არ არსებობა



დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ
თბილისის ონკოლოგიურ დისპანსერს



www.cancer.ge

თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი
საქართველო, თბილისი,
0171, ჩიქოვანის 14
ტელ.: 995 32 364485, 364486,
ფაქსი: 995 32 364489
E-mail: info@cancer.ge



ETHICON ENDO-SURGERY

a Johnson & Johnson company

ითარგმნა ორიგინალი ბროშურიდან